2/308

ხელშეკრულება

თბილისი, **"20" „თებერვალი" 2012 წ.**

ერთის მხრივ **შპს „ბიზნეს ვიქი"**, მისამართი: თბილისი, კოსტავას 75ბ, საიდენტიფიკაციო კოდი - 404924711 წარმოდგენილი მისი დირექტორის **ოთარ პატარქალაშვილის** სახით (შემდგომში "შემსრულებელი")

და

მეორეს მხრივ **საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო**, მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. №12, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ქეთი ბოჭორიშვილის** სახით (შემდგომში „შემკვეთი").

შემსრულებელი და *შემკვეთი* ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან, როგორც *„მხარე"*, ხოლო ერთად, როგორც *„მხარეები"*.

მხარეები ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით **შემსრულებელი** კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს **შემკვეთს** შემდეგი სახის მომსახურება: საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დაკვეთით ინგლისურენოვან ყოველთვიურ გაზეთში "ჯორჯიან ბიზნეს ვიქ"–ში 2012 წლის 20 თებერვლიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე ყოველთვიურად განათავოს 4 ფურცლიანი ფერადი სარეკლამო ჩანართი და დამკვეთს მიაწოდოს ამ ჩანართის დამატებითი 400 ეგზემპლარი.

1.2. თავის მხრივ შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურება და გადაუხადოს შემსრულებლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

1.3. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 79340000 (სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები)

1.4. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3-ე პუნქტის დ ქვეპუნქტი - საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის განკარგულება # 542.

მუხლი 2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **მხარეები** აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

2.1.1. **მხარეებს** გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

2.1.2. ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა შესაბამისი წესით **მხარეების** (მათი წარმომადგენლების) მიერ და წარმოადგენს **მხარეებისთვის** იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება იწყება 2012 წლის 20 თებერვალს და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 16500 (თექვსმეტი ათას ხუთას ლარს)

4.2. ჩანართი მზადდება თვეში ერთხელ შემკვეთთან შეთანხმებული გრაფიკით და მისი ყოველთვიური ღირებულებაა 1500 (ათასხუთასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

4.3. თანხის გადახდა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 50 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. მომსახურების ღირებულება შეიძლება გადახდილ იქნას ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხა ჩარიცხულ უნდა იქნას შემდეგ საბანკო ანგარიშზე: **სს „ბაზისბანკი, ბ/კ CBASGE22, ა/ა GE60BS0000000048036975:**

4.5. **შემკვეთის** მიზეზით თანხის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, მას ჯარიმის სახით ეკისრება საურავის გადახდა გადასახდელი თანხის 0,2% ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 მხარეებს უფლება არა აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ამ ხელშეკრულების მოქმედება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებით.

5.2 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანი.

მუხლი 6. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

6.1 ეს ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.2 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით ან მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში – თბილისის საარბიტრაჟო პალატაში.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებაში მითითებული ვადის ამოწურვამდე.

7.2 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარის მიერ.

7.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა პირს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები.

7.4 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

7.5 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის არსებულ სრულ შეთანხმებასა და მორიგებას.

7.6 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა არ იქონიებს გავლენას მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა მოვალეობების შესრულებაზე.

7.7 თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში რომელიმე დებულება კანონის საფუძველზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, ამგვარი ძალადაკარგულობა

გავლენას არ იქონიებს ამ ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დებულების იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე.

7.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება და კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობით, რომელიც გადაცემული უნდა იქნეს შესაბამისი მხარისთვის ან გაიგზავნოს ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით მხარის მისამართზე, რომელიც მითითებულია ამ ხელშეკრულებაში ან მხარის ფაქსის ნომერზე, რომელიც პერიოდულად მიწოდებული იქნება მეორე მხარისათვის.

8.2 მხარეთა მისამართები:

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
ტელ: (995 32) 2 433 433/2 106 392

შპს „ბიზნეს ვიქი"
თბილისი, კოსტავას 75ბ,
ტელ: (995 32) 2 212114 , ფაქსი: (995 32) 2 212131

რის დასტურადაც, მხარეებმა, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას ზემოდ აღნიშნულ დღესა და წელს.

დამკვეთის სახელით
დირექტორი **ქეთი ბოჭორიშვილი**

შემსრულებლის სახელით
დირექტორი **ოთარ პატარქალაშვილი**